INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: **"LAW AND WORLD"**
December 2020. Volume 15; Issue 2; Page No. 207-224
https://doi.org/10.36475/6.2.16
www.lawandworld.ge
ISSN: 2346-7916 (Print); ISSN: 2587-5043 (Online)

The Violation of Fundamental Human Rights by Limiting Legal Capacity of an Adult

Giorgi Glazovi
Doctoral student at Eastern Europe University, member of law scientists union – Non-entrepreneurial (non-commercial) legal entity

Levan Osadze
Legal adviser at the law clinic of Ilia state university

ABSTRACT

Within this article we've considered the disposition of the Article 16 of the Civil Code of Georgia, it's aim and connection with human rights protected under the Constitution.

After analyzing case law and scientific literature, it seems that it is possible to limit the legal capacity of a person at the age of majority, if the adult abuses alcohol or narcotic substances and by doing so, puts his/her family in material hardship, however, it's unclear why it is necessary to limit legal capacity for only alcohol and drug users. Meanwhile, Georgian legislation, with other means of law obliges person to care for his/her family's material condition. If a person avoids to undertake the obligation to pay maintenance, it is possible to force him/her to pay it according to the desicion of a court. (Court can demand a person to fulfill the obligation to pay maintenance for his/her family members in order to prevent material hardship).

The purposes of provisions which are limiting legal capacity are vague (GCC Article 16, Chapter of Special Proceeding of Civil Procedure Code of Georgia), it's possible to protect family's material condition without imposing these measures while not limiting person's constitutional rights.

In the article, we've also discussed the premises of limiting legal capacity and consequences, when there is a possibility of violation of human rights protected by the constitution such as: human dignity, right to free personal development, right to equality and right to property.

It is possible that family members may be engaged in material hardship not only by the person who has an addiction to alcohol and drugs, but also by a person with no such characteristics.

Accordingly, it is wrong and unequal to limit legal capacity only for persons, which have an addiction to illegal substances and alcohol. Besides, the achievement of the legitimate aim, under the GCC Article 16, is possible by the less intrusive measures.

KEYWORDS: Family, Obligation, Equality

NOTES:

1. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House "IECL",.P.115. (In Georgian)
2. Zoidze, B.and Kordzaia, T., 2017.Coments Of Civil Code (Book 1).Tbilisi: Publishing House "GIZ", P.68 . (In Georgian)
3. Chanturia, L., 2011. General part of civil law. Tbilisi: Publishing house "law", P. 179. (In Georgian)
4. Zoidze, B.and Kordzaia, T., 2017.Coments Of Civil Code (Book 1).Tbilisi: Publishing House "GIZ", P.68. (In Georgian)

5. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House “IE-CL”,.P.117. (In Georgian)
6. Article. 12, Law Of Georgia “ Civil Code Of Georgia”. Parliamentary Gazette26/06/1997. # 786 [viewed 10 october 2020] .https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
7. Chanturia, L., 2011. General part of civil law. Tbilisi: Publishing house “law”, P. 179. (In Georgian)
8. Zoidze, B.and Kordzaia, T., 2017.Coments Of Civil Code (Book 1).Tbilisi: Publishing House “GIZ”,P.68 . (In Georgian)
9. *Ibid*, P. 68. (In Georgian)
10. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House “IE-CL”,.P.116. (In Georgian)
11. The decision of the Constitution Court of Georgia of 8 October 2014 (N 2/4/532,533) (In Georgian)
12. Article. 13, Law Of Georgia “ Civil Code Of Georgia”. Parliamentary Gazette26/06/1997. # 786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
13. Chanturia, L., 2002. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “Law”, P. 47. (In Georgian)
14. Zoidze, B., 2017.Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “GIZ”, P.77. (In Georgian)
15. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House “IE-CL”,.P.127. (In Georgian)
16. Zoidze, B., 2017.Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “GIZ”, P.89. (In Georgian)
17. *Ibid*, p. 88. (In Georgian)
18. Chanturia, L., 2002. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “Law”, P. 51. (In Georgian)
19. *Ibid*, p. 51. (In Georgian)
20. Zoidze, B., 2017.Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “GIZ”, P.88. (In Georgian)
21. *Ibid*, p. 88. (In Georgian)
22. *Ibid*, p. 88. (In Georgian)
23. Chanturia, L., 2002. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “Law”, P. 47. (In Georgian)
24. Article. 363^{8}, Law Of Georgia “Civil Procedure Code Of Georgia”. Parliamentary Gazette14/11/1997. # 1106. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
25. Qurdadze, Sh., 2006. Civil Proceedings Of The Firs Instance Court. Tbilisi: Publishing House “Meridiani”, P. 690. (In Georgian)
26. Article. 363^{11}, Law Of Georgia “Civil Procedure Code Of Georgia”. Parliamentary Gazette14/11/1997. # 1106. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
27. Chanturia, L., 2002. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “Law”, P. 51. (In Georgian)
28. *Ibid*, p. 51. (In Georgian)
29. Kobakhidze, A., 2001. Civil Law. Tbilisi: Publishing House “herald of Georgia”, P. 124. (In Georgian)
30. Article 15, Law Of Georgia “ Civil Code Of Georgia”, Parliamentary Gazette26/06/1997. # 786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
31. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House “IE-CL”,.P.115. (In Georgian)
32. Shengelia, R., and Shengelia, E., 2011. Family Law. Tbilisi: Publishing House “Meridiani”, P. 244. (In Georgian)
33. *Ibid*, p. 244. (In Georgian)
34. *Ibid*, p. 247. (In Georgian)
35. Article. 1212, Law Of Georgia “ Civil Code Of Georgia”. Parliamentary Gazette26/06/1997. # 786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
36. The decision of the Supreme Court of Georgia of 28 February 2019 (N ას-1618-2018). (In Georgian)
37. Shengelia, R., 2000.Coments Of Civil Code (Book 5). Tbilisi: Publishing house “Law”. P.220. (In Georgian)
38. The decision of the Supreme Court of Georgia of 30 September 2019 (№ას-883-2019). (In Georgian)
39. Shengelia, R., and Shengelia, E., 2011. Family Law. Tbilisi: Publishing House “Meridiani”,P. 263. (In Georgian)
40. Shengelia, R., 2000.Coments Of Civil Code (Book 5). Tbilisi: Publishing house “Law”. P.144. (In Georgian)
41. The decision of the Supreme Court of Georgiaof 12 October 2016 (№ას-786-753-2016). (In Georgian)
42. Article. 1182, Law Of Georgia “ Civil Code Of Georgia”. Parliamentary Gazette26/06/1997. # 786.[viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
43. Shengelia, R., and Shengelia, E., 2011. Family Law. Tbilisi: Publishing House “Meridiani”, P. 268. (In Georgian)
44. Shengelia, R., 2000.Coments Of Civil Code (Book 5). Tbilisi: Publishing house “Law”. P. 215. (In Georgian)
45. The decision of the Supreme Court of Georgia of 31 July 2018 (№ას-49-49-2018). (In Georgian)
46. Article. 1224, Law Of Georgia “Civil Code Of Georgia”, Parliamentary Gazette26/06/1997. # 786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)

47. Shengelia, R., and Shengelia, E., 2011. Family Law. Tbilisi: Publishing House “Meridiani”, P. 271. (In Georgian)
48. The decision of the Supreme Court of Georgia of 5 May 2017 (№ას-454-426-2017). (In Georgian)
49. Shengelia, R., 2000.Coments Of Civil Code (Book 5). Tbilisi: Publishing house “Law”. P. 220. (In Georgian)
50. The decision of the Constitution Court of Georgia of 26 October 2007 (N2/2-389). (In Georgian)
51. Kublashvili, K., 2018. Human Rights and Fundamental Freedoms. Tbilisi: P. 74. (In Georgian)
52. The decision of the Constitution Court of Georgia of 28 October 2015 (№ 2/5/560). (In Georgian)
53. The decision of the Constitution Court of Georgia of 28 October 2015 (№ 2/5/560). (In Georgian)
54. The decision of the Constitution Court of Georgia of 26 October 2007 (N2/2-389).(In Georgian)
55. Kublashvili, K., 2018. Human Rights and Fundamental Freedoms. Tbilisi: P. 76. (In Georgian)
56. I bid, p. 81. (In Georgian)
57. The decision of the Constitution Court of Georgia of 24 October 2015 (№1/4/592). (In Georgian)
58. Kublashvili, K., 2018. Human Rights and Fundamental Freedoms. Tbilisi: P. 74. (In Georgian)
59. Article 12, Constitutional Court Of The Republic Of Georgia “Constitution Of Georgia”, Departments Of The Parliament Of Georgia, 24/08/1995, # 786, [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
60. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 February 2014 (№2/1/536). (In Georgian)
61. The decision of the Constitution Court of Georgia of 14 April 2016 (№1/1/625, 640). (In Georgian)
62. The decision of the Constitution Court of Georgia of 14 April 2016 (№1/1/625, 640). (In Georgian)
63. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 August (№2/4/570). (In Georgian)
64. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 February 2014 (№2/1/536). (In Georgian)
65. The decision of the Constitution Court of Georgia of 8 October 2014 (N 2/4/532,533). (In Georgian)
66. The decision of the Constitution Court of Georgia of 9 February (№1/2/622). (In Georgian)
67. Article 16, Law Of Georgia “Civil Code Of Georgia”, Parliamentary Gazette, 26/06/1997, # 786, [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
68. The decision of the Constitution Court of Georgia of 26 June 2012 (N3/1/512). (In Georgian)
69. The decision of the Constitution Court of Georgia of 28 October 2015 (№ 2/5/560). (In Georgian)
70. The decision of the Constitution Court of Georgia of 18 March 2011 (N2/1/473). (In Georgian)
71. The decision of the Constitution Court of Georgia of 22 December 2011 (N1/1/477). (In Georgian)
72. Article 19, Constitutional Court Of The Republic Of Georgia “Constitution Of Georgia”, Departments Of The Parliament Of Georgia, 24/08/1995, # 786,[viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
73. The decision of the Constitution Court of Georgia of 8 October 2014 (N 2/4/532,533). (In Georgian)
74. The decision of the Constitution Court of Georgia of 18 April 2016 (№2/1/631). (In Georgian)
75. The decision of the Constitution Court of Georgia of 30 September 2016 (№1/5/675,681). (In Georgian)
76. Kublashvili, K., 2018. Human Rights and Fundamental Freedoms. Tbilisi: P. 257. (In Georgian)
77. The decision of the Constitution Court of Georgia of 21 July 2017 (№2/3/680). (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Chanturia, L., 2002. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “Law”. (In Georgian)
2. Chanturia, L., 2011. General part of civil law. Tbilisi: Publishing house “law”. (In Georgian)
3. Kereselidze, D., 2009. The most common systemic concepts of private law. Tbilisi: Publishing House “IECL”. (In Georgian)
4. Kobakhidze, A., 2001. Civil Law. Tbilisi.Publishing house “herald of Georgia”. (In Georgian)
5. Kublashvili, K., 2018. Human Rights and Fundamental Freedoms. Tbilisi. (In Georgian)
6. Qurdadze, Sh., 2006. Civil Proceedings Of The Firs Instance Court. Tbilisi: Publishing House “Meridiani”. (In Georgian)
7. Shengelia, R., and Shengelia, E., 2011. Family Law. Tbilisi: Publishing House “Meridiani”. (In Georgian)
8. Shengelia, R., 2000.Coments Of Civil Code (Book 5). Tbilisi: Publishing house “Law”. (In Georgian)
9. Zoidze, B., 2017.Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi: Publishing House “GIZ”. (In Georgian)
10. Zoidze, B.,and Kordzaia, T., 2017. Coments Of Civil Code (Book 1). Tbilisi, Publishing House “GIZ” . (In Georgian)

NORMATIVE ACTS:

1. Constitutional Court Of The Republic Of Georgia “Constitution Of Georgia”. Departments Of The Parliament Of Georgia 24/08/1995. #786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)
2. Law Of Georgia “Civil Procedure Code Of Georgia”. Parliamentary Gazette14/11/1997. #1106. [viewed 10

october 2020] https:/matsne.gov.ge/(In Georgian)
3. Law Of Georgia “Civil Code Of Georgia”. Parliamentary Gazette26/06/1997. #786. [viewed 10 october 2020] https:/matsne.gov.ge/ (In Georgian)

COURT DECISIONS:

1. The decision of the Supreme Court of Georgia of 30 September 2019 (№ას-883-2019). (In Georgian)
2. The decision of the Supreme Court of Georgia of 12 October 2016 (№ას-786-753-2016). (In Georgian)
3. The decision of the Supreme Court of Georgia of 31 July 2018 (№ას-49-49-2018).(In Georgian)
4. The decision of the Constitution Court of Georgia of 26 October 2007 (N2/2-389). (In Georgian)
5. The decision of the Constitution Court of Georgia of 8 October 2014 (N 2/4/532,533). (In Georgian)
6. The decision of the Constitution Court of Georgia of 28 October 2015 (№ 2/5/560). (In Georgian)
7. The decision of the Constitution Court of Georgia of 26 October 2007 (N2/2-389). (In Georgian)
8. The decision of the Constitution Court of Georgia of 24 October 2015 (№1/4/592). (In Georgian)
9. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 February 2014 (№2/1/536). (In Georgian)
10. The decision of the Constitution Court of Georgia of 14 April 2016 (№1/1/625, 640). (In Georgian)
11. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 August (№2/4/570). (In Georgian)
12. The decision of the Constitution Court of Georgia of 4 February 2014 (№2/1/536). (In Georgian)
13. The decision of the Constitution Court of Georgia of 9 February (№1/2/622). (In Georgian)
14. The decision of the Constitution Court of Georgia of 18 April 2016 (№2/1/631). (In Georgian)

სრულწლოვანი პირისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვით ძირითადი უფლებების ხელყოფა

გიორგი გლაზოვი
შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ა(ა)იპ „სამართლის მეცნიერებათა კავშირი“-ს წევრი

ლევან ოსაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის იურიდიული მრჩეველი

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, ვალდებულება, თანასწორობა

შესავალი

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და იქნება ადამიანის საკუთრება და მისი შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, საკუთარი მოქმედებით შეიძინოს უფლებები და დადოს გარიგებები, რაც ხშირ შემთხვევაში მისთვის შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული, იმ შეზღუდვების შეფასება, რომლებითაც შეიძლება სრულწლოვანი პირისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

სტატიაში განვიხილავთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლს, რომლის მიხედვითაც პირს სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლოა შეეზღუდოს ქმედუნარიანობა, თუ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს, ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ასევე, განვიხილავთ ქმედუნარიანობის შეზღუდვის მიზნებს და შედეგებს, შეზღუდვის აუცილებლობას და მის შესაბამისობასკონსტიტიტუციით დაცულ ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა ღირსების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, თანასწორობის და საკუთრების უფლება. ამ საკითხებზე მსჯელობის შედეგად, შესაძლებელი იქნება დასკვნის გაკეთება, უნდა არსებობდეს, თუ არა სსკ-ის მე-16 მუხლით გათვალისწინებული სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობა.

ქმედუნარიანობა

იმისათვის რომ პირმა დამოუკიდებლად, საკუთარი მოქმედებით შეიძინოსუფლებები, იტვირთოს მოვალეობები და წარმოშვას სხვა სამართლებრივი შედეგები, მას უნდა ჰქონდეს ქმედუნარიანობა.[1] ქმედუნარიანობა – ესაა სუბიექტის უნარი, თვითონ, თავისი მოქმედებით მოახდინოს უფლებაუნარიანობის შინაარსის პრაქტიკული რეალიზაცია.[2] უფლებუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობას ადამიანი დაბადებისთანავე არ იძენს.[3] უფლებაუნარიანობა უფლება-მოვალეობათა ქონის აბსტრაქტული შესაძლებლობაა.[4] ადამიანის ქმედუნარიანობა დაკავშირებულია მის ფსიქიკურ მზაობასთან სწორად აღიქვას მის გარშემო მიმდინარე მოვლენები, აღნიშნულს კი, როგორც წესი სრულწლოვანების მიღწევას უკავშირებენ.[5] სსკ-ის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.[6] კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ისე, რომ რაიმე სპეციალური აქტი ამისთვის აუცილებები არ არის. აქედან გამომდინარე მოქმედებს პრეზუმცია, რომ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარია[7] (ზოგადი ქმედუნარიანობა). პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულად ქმედუნარიანად ცნობა, უნდა იყოს ზოგადიდან, სპეციალური გამონაკლისი.[8] ზოგადი ქმედუანარიანობის ფორმებად უნდა მივიჩნიოთ გარიგებაუნარიანობა და დელიქტუნარიანობა.[9] გარიგებაუნარიანობა არის ნამდვილი გარიგების დამოუკიდებლად დადების უნარი, ხოლო დელიქტუნარიანობა ზიანის გამომწვევი ქმედებისთვის პასუხიმგებლობის ქონის უნარი.[10]

ქმედუნარიანობის შეზღუდვის მნიშვნელობა

ქმედუნარიანობა არ განეკუთვნება აბსოლუტურ კატეგორიას.[11] ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[12] ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: ა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტი წლის ასაკამდე (სსკ-ის 14 მუხლი); ბ. შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს და სასამართლო მას შეუზღუდავს ქმედუნარიანობას (სსკ-ის მე-16 მუხლი).[13]

ასაკის გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვა თანაბრად ეხება ყველა არასრულწლოვანს, იმის მიუხედავად, ინდივიდუალურად (სუბიექტურად) ნების გამოვლენის რა უნარი გააჩნიათ მათ.[14] რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლს, იგი წარმოადგენს სსრ-ის სამოქალაქო კოდექსში 1985 წლის 16 ოქტომბერს შესული ცვილებებით ჩამოყალიბებული მე-15[1] მუხლის ანალოგს.[15] აღნიშნული ხასიათის ნორმას შეიცავდა გერმანისს სამოქალაქო კოდექსიც.[16]

---

1 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 115.

2 ზოიძე, ბ., კორძაია, თ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 68.

3 ჭანტურია, ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი", გვ. 179.

4 ზოიძე, ბ., კორძაია, თ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 68.

5 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 117.

6 მუხლი. 12, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786. https:/matsne.gov.ge/

7 ჭანტურია, ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი", გვ. 181.

8 ზოიძე, ბ., კორძაია, თ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 68.

9 *იქვე*, გვ. 68.

10 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.116.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს2014 წლის 8 ოქტომბერის გადაწყვეტილება (საქმეN 2/4/532,533).

12 მუხლი. 13, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786. https:/matsne.gov.ge/

13 ჭანტურია, ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი",გვ. 47.

14 ზოიძე, ბ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 77.

15 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.127.

16 ზოიძე, ბ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტა-

სსკ-ის მე-16 მუხლის მიზანი

სსკ–ს მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება ეხება სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს.[17] თუმცაღა, მხოლოდ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენება შედეგისათვის– ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის საკმარისი საფუძველი არ არის.[18] დამატებით აუცილებელია, რომ ამით პირი ოჯახს აყენებდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.[19] მძიმე მატერიალურ მდგომარეობას იწვევს ის ფაქტი, რომ სრულწლოვანი პირი თავის შემოსავლებს იყენებს არამიზნობრივად ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შესაძენად.[20] უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადგილი აქვს ოჯახის არსებობისათვის აუცილებელი სახსრების გაფლანგვას, რაც ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებად კვალიფიცირდება.[21] ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როდესაც თანხების არარაციონალური განკარგვის შედეგად სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირები რჩებიან საარსებოდ აუცილებელი სახსრების გარეშე. აღსანიშნავია, რომ სსკ-ს არცერთი ნორმა არ განსაზღვრავს ოჯახის ცნებას. საკითხავია, ოჯახში მოიაზრებიან მხოლოდ სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირები, თუ ალიმენტის მიღების უფლების არ მქონე პირებიც? თუ მე-16 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახის“ მნიშვნელობა მოიცავს ალიმენტის მიღებაზე უფლების არ მქონე პირებსაც გამოდის, რომ „ალკოჰოლიკს“, ან „ნარკომანს“ შეიძლება დაეკისროს ალიმენტის მიღებაზე უფლების არ მქონე პირებზე მატერიალური ზრუნვის მოვალეობა. შედეგობრივად, ვიღებთ უთანასწორო მიდგომას ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირების და ასეთ ნივთიერებებზე დამოკიდებულების არმქონე პირების მიმართ. გარდა ამისა, გაუგებარია, თუ რატომ არ ვრცელდება მე-16 მუხლის მოქმედება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირებზე და ა.შ.

ქმედუნარიანობის შეზღუდვას აქვს პრევენციული მნიშვნელობა, ვინაიდან სრულწლოვანი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ისეთი გარიგების დადებას, რაც შეიძლება მისი ოჯახისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.[22] ვინაიდან კანონით არ არის განსაზღვრული ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების „ბოროტად გამოყენების“ ან „ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენების“ მნიშვნელობა, ამის გარკვევა კონკრეტული ფაქტის სასამართლოსეული შეფასების საკითხია.[23]

ქმედუნარიანობის შეზღუდვის განხილვის წესი სსსკ-ის მიხედვით

საქართველოს სამოქოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემულია, სრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის, საქმის სპეციალური წარმოების წესები. სსსკ-ს 363[8]-ე მუხლის მიხედვით იმ პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ განცხადება, რომელიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკულ ნივთიერებას ეძალება, რის გამოც თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, სასამართლოში შეიძლება შეიტანოს მისი ოჯახის წევრმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.[24] იმ მოქალაქეთა, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან: მეუღლე, სრულწლოვანი შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები, შრომისუუნარო სარჩენი (კმაყოფაზე მყოფი) ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას.[25] იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ პირისთვის მზრუნველის დანიშვნის საფუძველი იქნება.[26]

რი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 89.

17 *იქვე,* გვ. 88.

18 ჭანტურია,ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი",51.

19 *იქვე,* გვ. 51.

20 ზოიძე, ბ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 88.

21 *იქვე,* გვ. 88.

22 ზოიძე, ბ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა "GIZ", გვ. 88.

23 ჭანტურია, ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი", გვ. 51.

24 მუხლი. 3638, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი". პარლამენტის უწყებანი 14/11/1997. # 1106. [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

25 ქურდაძე. შ., 2006. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი". გვ. 690.

26 მუხლი. 36311, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი". პარლამენტის უწყებანი 14/11/1997. # 1106.[წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

ქმედუნარიანობის შეზღუდვის შედეგი

ქმედუნარიანობის შეზღუდვით სრულწლოვან პირს ეზღუდება ქონების განკარგვის გარიგების დადება მზრუნველის თანხმობის გარეშე.[27] მზრუნველის თანხმობაა ასევე საჭირო ხელფასის პენსიის ან სხვა სახის შემოსავლის განკარგვისთვის.[28] მზრუნველის თანხმობა არაა საჭირო მხოლოდ წვრილმანი, ყოფითი გარიგებების დადებისას.[29]

სსკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.[30] აღნიშნული წესი თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვნებისა და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვნების მიმართ.[31]

ოჯახის წევრებზე ზრუნვის ვალდებულებათა განსაზღვრული ჩამონათვალი

კანონით გათვალისწინებულია ოჯახის წევრთა მიმართ მატერიალური დახმარების, როგორც იძულებითი, ისე ნებაყოფლობითი გაწევის შესაძლებლობა.[32] კანონის მოთხოვნა, რომ ოჯახის წევრები ვალდებულნი არიან იზრუნონ ერთმანეთზე, გულისხმობს მათ ქონებრივ ვალდებულებას აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ გაიღონ სხვა პირის რჩენისათვის აუცილებელი სახსრები.[33] ალიმენტის მოთხოვნის უფლება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში, რასაც საფუძვლად უდევს საალიმენტო შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება.[34] სსკ-ი ამომწურავად განსაზღვრავს ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ და ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. მათი დაყოფა შესაძლებელია რამოდენიმე კატეგორიად. პირველი – მშობლები შვილების მიმართ, შვილები მშობლების მიმართ და მეუღლეები ერთმანეთის მიმართ. მეორე – დები და ძმები ერთმანეთის მიმართ, შვილიშვილები და პაპა–ბებია ერთმანეთის მიმართ, დედინაცვალ–მამინაცვალი და გერი ერთმანეთის მიმართ. თუ, პირველ რიგში ჩამოთვლილი პირებისგან სარჩოს მოთხოვნა შეუძლებელია, მაშინ სარჩოს მოთხოვნა შეიძლება მეორე რიგში მყოფი პირებისაგან. სარჩოს მოთხოვნა შეიძლება რამოდენიმე პირისგან ერთდროულად.

1. მშობლების საალიმენტო ვალდებულებები შილების მიმართ – სსკ-ის 1212-ე მუხლის მიხედვით მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუნარო შვილები, რომლებიც დახარებას საჭიროებენ.[35] სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ შეიძლება იყოს იმ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რაც აუცილებელია პირის სარჩენად.[36] ეს ვალდებულება ეკისრება როგორც დედას ისე მამას მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან, თუ არა.[37]

2. შვილების საალიმენტო ვალდებულებანი მშობლების მიმართ – სსკ-ის 1218-ე მუხლის თანახმად, შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალე-

27 ჭანტურია,ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 51.

28 ჭანტურია, ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 51.

29 კობახიძე, ა., 2001. სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, გვ. 124.

30 მუხლი. 15, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.[წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

31 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ.128.

32 შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011. საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 244.

33 შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011. საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 244.

34 *იქვე,* გვ . 247.

35 მუხლი. 1212, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.[წვდომის თარიღი 10 მარტი 2020] https:/matsne.gov.ge/

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვალის გადაწყვეტილება (საქმე N ას-1618-2018).

37 შენგელია, რ., 2000. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 252.

ნი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.[38] შვილების საალიმენტო ვალდებულება ეფუძნება 2 გარემოებას: მშობლების შრომის უუნარობა და მატერიალური გაჭირვება.[39]

3. მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებანი – ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში მეუღლეები ვალდებული არიან იზრუნონ ერთმანეთზე და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს.[40] ეს არა მარტო ზნეობრივი მოვალეობაა, არამედ იურიდიული ვალდებულებაცაა.[41] მეუღლეთა შორის დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ შეთანხმების არარსებობისას სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს; ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.[42]

4. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებანი – ვიდრე, პირს, რომელიც ალიმენტს საჭიროებს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს იგი მშობლებისაგან, მეუღლისაგან ან შვილებისაგან, უფლება არა აქვს მოითხოვოს იგი ოჯახის სხვა წევრებისაგან.თუ პირველ რიგში ვალდებული პირებისაგან ალიმენტის მიღების შესაძლებლობა არ არსებობს, მხოლოდ მაშინ წარმოიშობა ოჯახის სხვა წევრებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება.[43] მეორე რიგში მყოფ პირთა საალიმენტო ვალდებულება ეფუძნება ახლო ნათესაობას ან მჭიდრო ოჯახურ კავშირს.[44] სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დებს და ძმებს არასრულწლოვანი და-ძმების რჩენის ვალდებულება ეკისრებათ, თუ სახეზეა ორი კუმულატიური პირობა: მათ აქვთ საკმაო შემოსავალი, რათა უზრუნველყონ სარჩოს მიცემა და ამასთან, სარჩოს მიმღები პირის მშობელი ვერ უზრუნველყოფს შვილის რჩენას.[45] სსკ-ის 1224-ე მუხლის მიხედვით შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო პაპა და ბებია, რომლებიც დამარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილებისაგან ან ერთმანეთისაგან.[46]

საალიმენტო ვალდებულებები გააჩნიათ პაპა-ბებიებსაც საკუთარი შვილიშვილის მიმართ.[47] სსკ-ის 1225-ე მუხლის მიზანი მხოლოდ მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვნის უზრუნველყოფას საცხოვრებლით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავისი მშობლებისგან არ შეუძლია.[48]

საალიმენტო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როცა მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთობას სისხლით ნათესაობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ აღზრდაში ან რჩენაში მონაწილეობის ფაქტი.[49] ასეთი შემთხვევები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1226-ე, 1227-ე და 1229-ე მუხლებში რომელთა მიხედვითაც ალიმენტის გადახდა შესაძლებელია დაეკისროთ მამინაცვალს, დედინაცვალსა და გერს, ასევე ალიმენტის დანიშვნა შესაძლებელია ფაქტობრივი აღმზრდელის სასარგებლოდ.

ღირსება და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

ყველა ადამიანს აქვს ღირსება, ღირებულება, რის გამოც სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობი-

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-883-2019).

39 შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011. საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 263.

40 შენგელია, რ., 2000. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 144.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე № ას-786-753-2016).

42 მუხლი. 1182, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.[წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

43 შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011. საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 268.

44 შენგელია, რ., 2000. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 215.

45 საქართველოს უზენაესი სასამართლოს2018 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე № ას-49-49-2018).

46 მუხლი. 1224, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.[წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

47 შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011. საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 271.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-454-426-2017).

49 შენგელია, რ., 2000. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 220.

ექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება და ექსპლუატაციის ობიექტი.[50] თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი.[51] ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია, იგი არ წარმოადგენს მხოლოდ განყენებულ, აბსტრაქტულ კატეგორიას და პრაქტიკულ რეალიზებას ადამიანის უფლებებში პოვებს.[52] აღნიშნული უფლება ბუნებით უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს ღირსების უფლება აქვს იმიტომ, რომ იგი ადამიანია.[53] ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია.[54] ღირსება შეილახება, თუ ადამიანს დევნიან, ამცირებენ, ან უფლების აყრის გზით მოეპყრობიან, როგორც საგანს.[55] ადამიანის ღირსება ილახება მაშინ, როდესაც იგი განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ ხვდება.[56]

ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით.[57] ამ უნარიდან გამომდინარე ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი თავის პიროვნული განვითარების უფლებით.[58] საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.[59] საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.[60] აღნიშნული უფლება გულისხმობს პირის უფლებას, დამოუკიდებლად, მესამე პირის ჩარევისა და მისგან კონტროლის გარეშე, განსაზღვროს საკუთარი მე, ვინაობა, ცხოვრების წესი, აირჩიოს გარესამყაროსთან, კონკრეტულ ადამიანებთან, თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის შინაარსი, ფორმები, ინტენსივობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, სულიერი, თუ სხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები და საშუალებები.[61] ადამიანს აქვს უფლება, იყოს ისეთი, როგორიც თავად სურს, შეუძლია, მოსწონს.[62] მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ პირის თავისუფალ განვითარებას კანონი არ უნდა უქვემდებარებდეს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ჩამოყალიბებულ ტრადიციას, წეს-ჩვეულებასა, თუ ადათს, ვინაიდან აღნიშნული საფრთხის ქვეშ დააყენებდა თავად ადამიანის პიროვნული განვითარების ორ მნიშვნელოვან და სუბსტანციურ პრინციპს – თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს, რაც რეალურად წარმოადგენს ადამიანის განვითარების საწყისს.[63] პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა ჯგუფს.[64] აღნიშნულ უფლებაში ჩარევა დასაშვებია, თუ უფლების მზღუდავი რეგულაცია დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალებაა.[65] თანაზომიერების პრინციპის უმთავრესი მოთხოვნაა, რომ უფლების შეზღუდვა არ

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/2-389).

51 კუბლაშვილი, კ., 2018. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 74.

52 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე № 2/5/560).

53 აქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება(საქმე № 2/5/560).

54 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/2-389).

55 კუბლაშვილი, კ., 2018. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 76.

56 *იქვე,* გვ 81.

57 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება (საქმე №1/4/592).

58 კუბლაშვილი, კ., 2018. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 74.

59 მუხლი. 12, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“. პარლამენტის უწყებანი 24/08/1995. # 786.[წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/536).

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილისგადაწყვეტილება (საქმე №1/1/625, 640).

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/625, 640).

63 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №2/4/570).

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/536).

65 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N 2/4/532,533).

განხორციელდეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო.[66]

სსკ-ს მე-16 მუხლის მიხედვით პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს ეზღუდება ქმედუნარიანობა. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.[67] მე-16 მუხლის ნორმით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი, წარმოადგენს ჩარევას ადამიანის პიროვნულ ავტონომიაში, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში. სადავო რეგულირება არსებითად ცვლის პირის სამართლებრივ სტატუსს და იწვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს. ქმედუნარიანობა შეზღუდულ პირს, ფორმალურად, განუსაზღვრელი ვადით ეზღუდება უფლება დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში. პირის უფლებაში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას.

თანასწორობა

თანასწორობის უფლება განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-11 მუხლით, რაც გულისხმობს იმას, რომ კანონი არსებითად თანასწორ პირებს ერთნაირად უნდა მოეპყროს, არსებითად უთანასწოროებს კი პირიქით.[68] თუმცა, არსებითად თანასწორი პირების მიმართ ნებისმიერი სახის დიფერენცირება დისკრიმინაციულ მოპყრობად არ ჩაითვლება.[69] დიფერენცირებული მოპყრობის გამართლებისთვის საჭიროა, სადავო ნორმამ დააკმაყოფილოს რაციონალური დიფერენცირების ტესტის მოთხოვნები, ანუ სადავო ნორმა უნდა იყოს მაქსიმალურად რეალისტური, საჭირო და არსებობდეს რაციონალური კავშირი დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.[70] არაპირდაპირ დისკრიმინაციადაც შეიძლება შეფასდეს შემთხვევა, როდესაც ზოგადი დანიშნულების კანონი ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, დანარჩენებთან შედარებით, აკისრებს გაცილებით მძიმე ტვირთს.[71]

სსკ-ის მე-16 მუხლი წარმოადგენს არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევას, რადგანაც მისი ნორმა, „ოჯახის" მატერიალური გასაჭირისაგან დაცვის მიზეზით, შესაძლებლობას იძლევა ქმედუნარიანობა შეეზღუდოს მხოლოდ ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს, რომლებიც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ ოჯახს. გაურკვეველია რა მიზეზით გამოყო კანონმდებელმა მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის მომხმარებლები. თუ აღნიშნული ნორმის მიზანია ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნისაგან დაცვა, მაშინ, რატომ არ ვრცელდება ნორმის მოქმედება იმ სხვა პირთა მიმართ, რომლებიც არ არიან ალკოჰოლზე, ან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულნი, მაგრამ საკუთარი ქონების არამიზნობრივი განკარგვის (ფლანგვის) შედეგად ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებენ.

საკუთრება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.[72] საკუთრების უფლება წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საყრდენს, რომელსაც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკა და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვა.[73] საკუთრების უფლება, მესაკუთრეს აღჭურავს შესაძლებლო-

66 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №1/2/622).

67 მუხლი. 16, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია". პარლამენტის უწყებანი 24/08/1995. # 786. [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

68 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N3/1/512).

69 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე № 2/5/560).

70 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება (საქმე N2/1/473).

71 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N1/1/477).

72 მუხლი. 19, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია". პარლამენტის უწყებანი 24/08/1995. #786. [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2020] https:/matsne.gov.ge/

73 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბერის გადაწყვეტილება (საქმე N 2/4/532,533).

ბით განკარგოს საკუთრების უფლება და მისი ობიექტი, მათ შორის გაანადგუროს ის.[74]

საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.[75] დაცულ სფეროში ჩარევის ყველა შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თანაზომიერების პრინციპი და მის შესაბამისად იმოქმედოს.[76] თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უფლების შემზღუდველი ღონისძიება, გამოსადეგთან ერთად, ასევე უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას.[77]

ქმედუნარიანობის შეზღუდვით პირს ერთმევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად, მზრუნველის თანხმობის გარეშე, დადოს საკუთარი ქონების (საკუთრების) განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს საკუთარი ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი. აღნიშნული შეზღუდვის მიზანი არის ოჯახის წევრების მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნისაგან დაცვა, თუმცა გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ თითოეულ სრულწლოვან ადამიანს ოჯახის წევრებზე ზრუნვის ვალდებულება კანონით ისედაც გააჩნია – სარჩოს გადახდის ვალდებულების დაწესებით (იხ. თავი „ოჯახის წევრებზე ზრუნვის ვალდებულებათა განსაზღვრული ჩამონათვალი“). შესაბამისად არსებობს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლებად მზღუდავი საშუალება, რადგანაც სარჩოს დაკისრებით პირს არ ეზღუდება ქმედუნარიანობა. ქმედუნარიანობის შეზღუდვით პირის საკუთრების უფლება შეიძლება იმაზე მეტად შეიზღუდოს ვიდრე ეს მიზნის მიღწევისათვის საკმარისი იქნებოდა.

დასკვნა

ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარება, თანასწორობა, თუ საკუთრება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების საწყისი, ფუნადამენტური ღირებულებებია. კანონი, სასამართლო გადაწყვეტილიება, ადმინისტრაციული აქტი, თუ გარიგება არ უნდა ხელყოფდეს ამ ღირებულებებს. ღირსების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, თანასწორობის და საკუთრების უფლებები თვითმყოფადია. პიროვნების თავისუფალი განვითარების, თანასწორობის, თუ საკუთრების უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ უფრო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისათვის. ამ უფლებათა შეზღუდვის საშუალებები უნდა იყოს პროპორციული, მათი შეზღუდვის მიზნებისა. თუ შესაძლებელია შეზღუდვის მიზნის მიღწევა ნაკლებად მზღუდავი საშუალებით, სწორედ მისი გამოყენება უნდა მოხდეს.

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა პიროვნების თავისუფალი განვითარების, ასევე საკუთრების უფლების რეალიზაციის საშუალებაა. ქმედუნარიანობა არის უნარი, პირმა საკუთარი ნებით და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობის შეზღუდვა პირდაპირ აისახება ზემოთხსენებულ ძირითად უფლებებზე. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა კონკრეტული მზღუდავი საშუალებით, თუ ქმედუნარიანობის შეზღუდვის მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქად მზღუდავი საშუალებით. დაუშვებელია დისკრიმინაციულად ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

სსკ-ს მე-16 მუხლი ითვალისწინებს სრულწლოვანი, ალკოჰოლზე, ან ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას. ქმედუნარიანობის შეზღუდვისთვის სახეზე უნდა იყოს ორი კუმულაციური წინაპირობა: 1)ალკოჰოლზე, ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულება და 2) ამ დამოკიდებულებით „ოჯახის“ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანია, თუ ვინ იგულისხმება ოჯახის ცნების ქვეშ, ეჭვს არ იწვევს, რომ ქმედუნარიანობის შეზღუდვა ხდება ოჯახის წევრების რჩენის მოვალეობის შესასრულებლად. აქვე, გავითვალისწინოთ, რომ საოჯახო სამართალი, ზედმიწევნით, numerous clauses პრინციპით განსაზღვრავს ოჯახის წევრების ურთიერთ რჩენის მოვალეობებს. სარჩოს გადახდა იმ მიზანს ემსახურება, რომ სარჩენს შეექმნას ცხოვრებისთვის და არსებობისთვის საჭირო და აუცილებელი პირობები. შესაბამისად, მოცემულობაში, სადაც ოჯახის კონკრეტულ წევრებზე მატერიალური ზრუნვის მოვალეობა, ქმედუნარიანობის შეზღუდვის გარეშე, ისედაც ზედმიწევნით გაწერილია საოჯახო სამართალში, გაუგებარია, რატომ ხდება მე-

74 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/631).

75 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/5/675,681).

76 კუბლაშვილი, კ., 2018. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 257.

77 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/680).

16 მუხლით, ისევ ოჯახის წევრების მატერიალურ მდგომარეობაზე ზრუნვის მიზნით პირისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვა.გარდა ამისა, თუ დავუშვებთ, რომ მე-16 მუხლს დამოუკიდებელი მოქმედების სფერო აქვს, გაუგებარი იქნება, თუ რატომ არ ხდება იმ პირისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვა, რომელიც არ არის ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებული, მაგრამ საკუთარი ქონების გაფლანგვის (აზარტული თამაშებით, ასოციალური ქცევით და ა.შ.) შედეგად ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ავტორთა აზრით, სსკ-ს მე-16 მუხლი გამოირჩევა პირთა მიმართ უთანასწორო მიდგომით, ასევე, უფლების მზღუდავი არაპროპორციული და გაუმართლებლად მძიმე საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

15. ზოიძე, ბ., და კორძაია, თ.,2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა “GIZ”.
16. ზოიძე, ბ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა “GIZ”.
17. კერესელიძე, დ., 2009.კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
18. კობახიძე, ა., 2001. სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „ საქართველოს მაცნე“.
19. კუბლაშვილი, კ., 2018. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი:
20. ქურდაძე, შ., 2006. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
21. შენგელია, რ., 2000. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.
22. შენგელია, რ., და შენგელია, ე., 2011, საოჯახო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
23. ჭანტურია, ლ., 2002. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.
24. ჭანტურია, ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“. პარლამენტის უწყებანი 24/08/1995. # 786[წვდომის თარიღი 10 მარტი 2020] .https:/matsne.gov.ge/
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 14/11/1997. # 1106.[წვდომის თარიღი 10 მარტი 2020] https:/matsne.gov.ge/
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.[წვდომის თარიღი 10 მარტი 2020] https:/matsne.gov.ge/

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-883-2019).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე № ას-786-753-2016).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე № ას-49-49-2018).
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/2-389).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბერის გადაწყვეტილება (საქმე N 2/4/532,533).
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე № 2/5/560).
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/2-389).
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება (საქმე №1/4/592).
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/536).

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/625, 640).
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №2/4/570).
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/536).
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №1/2/622).
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/631).